ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/0118032761-17

"04" 04 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელი დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.038.938) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3442806 01.08.2017წ..

სამსახურის სპეციალისტების მიერ სოფელი დიღომი მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადები: სახურავზე შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა ადგილმდებარეობა და ვიზუალი.

„1-5" ფასადი : +1.56 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. +23.72 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში და +19.52 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მოაჯირი. +22.72 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში კარ-ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი.

„5-1" ფასადი : „3-2" მონაკვეთში ±0.00 ნიშნული შეცვლილია კარის ვიზუალი და გაბარიტი. „3-3" ღერძზე +6.72 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია წყლის გამათბობელი დანადგარი. +19.52 ნიშნულზე „5-4" მონაკვეთში და „4-1" მონაკვეთში +22.32 ნიშნულზე დამატებულია ლითონის მოაჯირები.

ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი. -2.72 გარე კედლები არ შეესაბამება საპროექტოს. 0.00 ნიშნულზე „1-2" და „ა-ბ" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლიტური ფილა(ბაქანი).

ზ.ა.კ VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფს", ქ. თბილისში, სოფელი დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.038.938) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0118032761-17 01.02.2018წ. განცხადება.
№წ-19/0118032761-17 02.02.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე